სამშობლო

პარასკევი,
29 აპრილი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., [illegible] 4 აბ. ცალკე ნუმერი [illegible] მასწავლებლებით 7 მ. წლიური ხელის მოწერილებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. [illegible] მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ [illegible] განცხადების ფასი: [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით დრის 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების [illegible] თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. დრის 8 მ. 2 საათ [illegible] 4 მან.

№ 343 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 343

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლება სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მი-ჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო"-ზე

წელიწადი მეორე

წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირებს 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ. ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო"

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 28 აპრილიდან განსაკუთრებით მოზრდილთათვის ნაჩვენები იქნება

მოსამსახურე ქალი.

თანამედროვე დრამა 3 ნაწ. კუპრინის ნაწარმოებიდან ცნობილ მსახიობთა: ჩერნოვისა, მაჩურინისა და ტურჟანსკის მონაწილეობით.

ანტონმა არ იცის როგორ მოექცეს ქალებს.

კომედია ფარსი 2 ნაწ. ანტ. ფერტნერის მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათიდან, 2 მაის დან **ვოროგიევის მთების საიდუმლოება.** დრამა 5 ნაწ. მოსკოვის ფირმ. ცნობ. მონაწილეობენ: ქალბატონ კორშ ნ. ვალოვისა, ბატონ ე. კ პოტლერი, ნ. კრივცოვი, ნ ნიკოლაევი, ვ. კვანინი, ა. სოკოლოვი, დადგმულია კრივცოვისაგან. მხოლოდ მოზრდილთათვის.

ელექტრო „ამპირი" თეატრი

ხუთშაბათიდან 28 აპრილიდან ახალი პროგრამა

დედოფალი ეკრანა.

დრამა 5 ნაწილად ვოზნესენსკის სცენარიით, გამოჩენილ არტისტების: იურენევის, პოლონსკის და ხმარას მონაწილეობით

ანონსი: ორშაბათიდან, 2 მაისიდან **სისხლის კოშკი.** დრამა 4 ნაწილად ვლ. იზუმრუდოვის რეჟისორობით. მონაწილეობენ: ვ. ვ. მაქსიმოვი და მ. რ. რეიზენი. **გმადლობ... არ მოველოდი.** ორიგინალური კომედია ა. ჩეხოვის მოთხრობიდან.

ადგილების ფასი **„ამპირსა"** და **„რადიუმში"**: ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეებისათვის: 2 ადგ 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ვენახის საწამლოთ.

იყიდება ცნობილი ქაკმენის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შემდეგ სნეულებისაგან: მილდიუმიდან, ოიდიუმიდან და სხვა და სხვა მავნემწერებიდან. ამ სითხით წამლობენ შვიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.

წამლობისათვის საჭიროა **კოლოფი** (ფხვნილი) **ტრინდინისა** იყიდება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა მევენახეობისათვის. მისამართი: სავაჭრო სახლი „კლო-ეგურული" ქუთაისი, კახიანოური 150—2—5

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიკარაძის № 46, ტელეფონი № 87. თ.
14

ექიმი ა. მ. ახათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ.
11

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის.

პირობების გაგება შეიძლება საღამოს, ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.
2

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

ბებია მ. მ. ქიხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარექაძე ქალაქ. სავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — . საათ, საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახლში. თ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

27 აპრილი.

დასავლეთის ასპარეზი.

სამორგონის სამხრეთით დაბა პერეპლიანკას რაიონში საარტილერიო ბრძოლის შემდეგ გერმანელები ჩვენს ხლართებს მოესივნენ, მაგრამ ჩვენ არტილერიის ცეცხლი მივაგებეთ და უკუვაგდეთ. 25 აპრილს ღამით დაბა ნოვოსელკასთან გერმანელებმა ნაღმი აafეთქეს და დაბა არევოლსთან ბეგობის დასაჭერათ იერიში წამოვიდენ. პლონიცის დასავლეთით მტერმა არტილერიის მოქმედება გაფართოვა რასაც ჩვენ ხელი შევუშალეთ ჩარტორიისკის სადგურთან ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის ჰაეროპლანი და მფრინავები დავატყვევეთ.

კავკასიის ასპარეზი.

ოსმალთა იერიში მამახათუნის ხაზზე შევაჩერეთ ბაღდადის მიმართულებით ჩვენ დავიკავეთ ქალაქი კასიშირონი, სადაც ხელთ ვიგდეთ ბევრი სურსათი და სასროლი მასალები, აქლემები სანოვაგე ტრანსპორტით. დევნის დროს მტერს წავართვით სამი ზარბაზანი.

დანარჩენი დეპეში იხილეთ მე-4-ე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შავი ზღვის პირად.

როგორც ბუქარესტიდან „ბირჟევია ვედომოსტს" ატყობინებენ ტრაპიზონის დაპყრობამ და შავი ზღვის ნაპირებზე რუსეთის ჯარის წინსვლამ ოსმალეთის მთავრობა ძალზე ჩააფიქრა: გერმანიას შველა სთხოვა და მანაც ხელმძღვანელათ ცნობილი გენერალი მაკენზენი გამოუგზავნა. მაკენზენი კარპატების ცნობილი გმირია; ის სერბიის ამგველოა და ახლა ფიქრობენ, რომ იგი ისევ სამხრეთ-რუსეთის ფრონტზე გაეწვიათ; მაგრამ როგორც ზემოხსენებულ ცნობიდან სჩანს იგი ოსმალეთს დაუთმეს: ალბათ შავი ზღვის პირად, ანატოლიის ნაპირებზე რუსეთის ჯარის გამარჯვებას გერმანიაც დიდ ყურადღებას აქცევს.

ამერიკა და გერმანია.

შეერთებულ შტატებსა და გერმანიის შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი ჯერ კიდევ არ ჩამქრალა და დღე დღეზე მის აფეთქებას კვლავ ელიან.

ნიუორკიდან „რუსკოე სლოვოს" დეპეშით ატყობინებენ, რომ შეერთებული შტატების კონგრესით გერმანიის პასუხი ვერ დაკმაყოფილდაო. მაგრამ მიუხედავათ ამისა ვაშინგტონში მაინც იმ აზრის არიან, რომ კონფლიქტი მშვიდობიანათ დასრულდება. ამ კითხვის შესახებ გერმანიაში კი ორგვარი აზრი ტრიალებს: ერთნი ამბობენ, რომ ომი თავიდან აშორებულიაო. ხოლო მეორენი ძალიან ეჭვობენ ამას და ამტკიცებენ, რომ საქმე ჯერ კიდევ საფრთხეშიაო. ერთი გაზეთის გადმოცემით ვითომ უკვე საიდუმლო ბრძანებაც არის, რომ გერმანიის ელჩები ამერიკიდან გამოაძევონ.

ხმებია, რომ გერმანიის ნოტამ ვილსონი ძალიან გააჯავრაო; ნიუორკში პოლიცია ვითომ ზომებს ღებულობს, რომ გერმანელების წინააღმდეგ ისეთივე აჯანყება არ მოხდეს, როგორც დუბლინში ინგლისელების წინააღმდეგ მოხდაო: საფრანგეთის პრესა გერმანიის ნოტას ჰგმობს და სამარცხვინო დატყუების დოკუმენტათ სთვლის მას.

მეცის დაცლა.

ამსტერდამიდან იტყობინებიან, რომ გერმანელებმა გადაწყვიტეს დაცალონ ქ. მეცი (?) მოქალაქეთ გამოუცხადონ, რომ ქალაქიდან გავიდენ რითია გამოწვეული ეს ზომა, ამაზე არაფერს სწერენ.

მთავარი დაკვრის საკითხი.

„ვეჩერნეე ვრემიას" აზრით გერმანელები ახლა მთავარ დაკვრას ინგლისელების წინააღმდეგ ფიქრობენ. გაზეთის სიტყვით გერმანელებს უნდათ ვერდენს თანდათან ჩამოშორდენ ბელგიის ფრონტზე შეტევა დაიწყონ. მაგრამ მათ ფრანგები ამის ნებას არ აძლევენ: ესენი ბრძოლის ხაზის გარღვევით და მარჯვენა ფრთის შემოვლითაც (ბელგიის ფრონტზე) ემუქრებიან მათ

ბალკანეთში

„ბირჟევია ვედომოსტის" კორესპონდენტი ათინიდან დეპეშით იუწყება, რომ გერმანელ ბულგარეთის ჯარი მოკავშირეების რაზმებს შეება და მაიადორ-კალინოვის სექტორს ყუმბარები დაუშინაო.

ომის მიმოხილვა.

„რუსკი ინვალიდი" რუსეთის მთავარ ფრონტზე მდგომარეობის გასათვალისწინებლათ მსოფლიო ომის ცალ-ცალკე მიმოხილვის აკეთებს და სწერს: როცა სერბიელებს შეესივნენ, მაშინ რუსეთის ჯარს საშუალება არ ჰქონდა, რომ მიშველებოდა მათ, მეორე მხრით სერბიელების საშველათ წამოსული მოკავშირეები თვითონვე კინაღამ საფრთხეში ჩავარდენ მაგრამ როგორც კი შესაძლებელი გახდა, რუსეთის ჯარმა მაშინვე გალიციის და ბუკოვინის ფრონტებზე შეტევა დაიწყო და მით მოკავშირეების მდგომარეობა ბალკანეთში შესამჩნევათ გააუმჯობესა. ბოლო ხანებშიაც მარტში და აპრილში კუროპატკინის და ევერტის რაზმების მოქმედებამ ჩრდილოეთის ფრონტზე გერმანელების ვერდენთან ბრძოლას ხელი ძალიან შეუშალა და ფრანგებს საშუალება მისცა მტერს გამკლავებოდა. ამ ჟამათ კი გერმანელების ძალთა ახალი გადაჯგუფება-განაწილება ისეთ ნაირია, რომ ძნელი სათქმელია:, სად დაჰკრავს ის უმთავრესათ, ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გერმანელები ბრძოლას გააჩაღებენ (გააჩაღეს კიდეც) როგორც ვერდენთან და ბელგიის ფრონტზე, ისე რუსეთის ასპარეზზედაც. ზამთარში მოგროვებული ენერგიამ ამ გაზაფხულზე თავი უნდა იჩინოს; საერთოდ ბრძოლის ხაზზე პირისპირ შეყრა ვრცელ და ფართო ფრონტზე გამოჩნდება და ეს) კი დიდი გადამწყვეტი ბრძოლების გამართვას მოასწავებს.

„ტაიმსი" რუმინია გერმანიის შეთანხმების გამო.

ინგლისის კონსერვატორების მთავარი ორგანო „ტაიმსი" რუმინია-გერმანიის შეთანხმების გამო მოკავშირეებს აფრთხილებს და მათგან მეტ აქტივობის გამოჩენას მოითხოვს. ამ ჟამათ ვერდენის ოპერაცია სათანადო შთაბეჭდილებას ახდენს რუმინიაზე (ეს ალბათ პირველ ხანებში მექრ ამიტომ მოკავშირეების დიპლომატიამ ამით დაუყონებლივ უნდა ისარგებლოს ამას გარდა გაზეთი მოითხოვს, რომ მოკავშირეებმა სალონიკში რაც შეიძლება მეტი ჯარი გაგზავნონ.

ბალტიის ზღვაზე.

„რუსკი ინვალიდი" ბალტიის ზღვაზე მოსალოდნელ ბრძოლას ეხება და ამბობს: საზღვარგარეთის პრესის ცნობები გარკვევით ვერ გვიჩვენებენ, თუ რაში მდგომარეობს გერმანიის ფლოტის მოქმედება ბალტიის ზღვაზე. მაგრამ ჟურნალის აზრით, რაკი გერმანიის ფლოტს განზრახვა აქვს ხმელეთის ჯარს მიეშველოს, ამიტომ მოსალოდნელია მისი გამოსვლა და ბალტიის ზღვაში ბრძოლა. წინააღმდეგ ამისა, „ბირჟევია ვედომოსტის" მიმომხილველს ბ. შუმსკის არ სწამს, რომ გერმანიის ფლოტმა რიგის ყურეში შეჭრა გაბედოს. ამ გაზეთის მიმომხილველს არც ბალტიის მხარეში გერმანიის ხმელეთის ჯარის მოქმედება-შეტევა სჯერა. მისი აზრით შეუძლებელია გერმანიის გენერალმა ბელოვმა რამდენიმე დივიზიით გაბედოს და მთელ რიგა-დვინსკის ფრონტზე შეტევა დაიწყოსო.

საბერძნეთის გაურკვევლობა.

არ იქნა, ვერ გამოირკვა საბერძნეთის ორიანტაცია. „ვეჩერნეე ვრემიას" გადმოცემით მთავარ მინისტრათ საბერძნეთში ისევ ზაიმს ასახელებენ, იმ ზაიმისს, რომელიც თავისი პოლიტიკით უფრო ვენიზელიოსს უახლოვდება. ამასთან იმასაც ამბობენ, რომ მთავრობა სერბიის ჯარის საბერძნეთის ტერიტორიაზე გადმოყვანას დათანხმდაო.

ახალი ადმირალი ბალტიის ზღვაზე.

ერთი გერმანული გაზეთის გადმოცემით გერმანიის ფლოტის მთავარ ხელმძღვანელ ადმირალათ ბალტიის ზღვაზე ცნობილი ადმირალი ფონ-ტირპიცი დანიშნეს

ნარკვევი.

გაზეთ „საქართველო" თბილისში აფხაზთა დეპუტაციის ჩამოსვლის გამო სწერს:

თბილისს აფხაზთა დეპუტაცია ჩამოვიდა; იგი სთხოვს მეფის ნაცვალს, რომ სოხუმის ოლქი ცნობილ იქნას დამოუკიდებელ საერთოერთეულად და თანაც რომ სოხუმის ოლქი სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომი.

(დღიური)

ბრძოლის ველზე მდგომარეობა ისევ ირყევა: ვერდენთან ბრძოლა ისევ შენელდა ერთი კიდევ დაიქუხეს გერმანიის ზარბაზნებმა იქ და ნელ ნელა ჩაჩუმების გზას დაადგენ. ახლა გერმანია იძულებულია მთელი თავისი აქტიური ძალა რუსეთის წინააღმდეგ მიმართოს. ის ასედაც იქცევა: ბალტიის ზღვაზე რუსეთის ფლოტის წინააღმდეგ თავისი ძველი გამოცდილ-გამობრძმედილი ადმირალი, ფონ ტირპიცი გაგზავნა, ტრაპიზონის რაიონში მომქმედ რუსეთის ჯარის შეჩერება და ანატოლიის ნაპირების დაცვა სახელგანთქმულ გენერალს მაკენზენს მიანდო. ხოლო რუსეთის მთავარი ფრონტის წინააღმდეგ ბრძოლას თვითონ ვილჰელმი და მთავარსარდალი ჰინდენბურგი ხელმძღვანელობს ამ ნაირად მომავალ ზაფხულის კომპანიაში ისეთ უზარმაზარ ფრონტზე უნდა დაიწყოს დიდი ბრძოლები, რომლის წარმოდგენაც კი გვიძნელდება და რომელმაც ახლანდელის ომის მსოფლიო სახელწოდება ფაქტებით უნდა გაამართლოს. მომავალ მაისში ომი გვიქადის დაუშრეტელ ცეცხლს რიგის ყურის ნაპირებზე დანთებულს ვიდრე სპარსეთის ყურემდე: აქ ევროპა და აზია მთელ თავის სიგრძეზე ცეცხლის ჯაჭვით იქნება გადაბმული და სწორეთ ომის ბედი ცეცხლმა უნდა გადასჭრას ამაზე შორს წასვლა ჩვენ ვეღარ წარმოგვიდგინა.

კავკასიისა და ოსმალეთის ასპარეზზე ბრძოლის სამი პუნქტი აქედანვე აღინიშნა: ერზიჯანის, ანუ მამახათუნის დიარბექირის და ბაღდადის (?) პირველ ორ პუნქტში ოსმალეთის ჯარების შეტევა რუსებმა შეაჩერეს; ხოლო ბაღდადის მიმართულებით (?) არა თუ შეაჩერეს, არამედ უკანაც დაახევიეს და შორს განდევნეს ოსმალნი. ამ მიმართულებით რუსის ჯარმა ქალაქი კასრიშირინი დაიკავა.

რუსეთსა და ავსტრია გერმანიის ფრონტზე გერმანელებმა ახლა სმორგანის რაიონში? პერეპლიანკასთან სცადეს იერიში დაწყება მაგრამ ვერ მოუხერხდათ; დ. კრევოს სამხრეთით გორკა აიფეთქეს და ამოქვაბული დაიკავეს, თუმცა ამ ამოქვაბულის ერთ ნაპირზე რუსის ჯარის ერთმა რაზმმა გამაგრება მოასწრო. სხვაგან საყურადღებო არაფერი მომხდარა.

ვერდენთან ბრძოლა როგორც ზევით მოვიხსენეთ ნელ ნელა თითქო დაცხრომის გზას ადგება, თუმცა გერმანელები ვევრის და დუომინის რაიონში საარტილერიო ბრძოლას კვლავ განაგრძობდენ. ფრანგებმა წინა დღის „304“ სიმაღლეზე სანგრების და გვირაბების ერთი ნაწილი უკვე დაიბრუნეს და ვფიქრობთ გერმანელების შემდეგ მოქმედებაც ამ გარემოებამ განსაზღვრა.

სხვა ფრონტზე ისევ სიწყნარეა.

ხუმის გუბერნიად, ხოლო მისი ოთხი საბოქაულო ნაწილი: გუდაუთის, გუმისტის, სამურზაყანოს და კოდორის — ოთხ მაზრად გამოეცხადოს, მაგრამ, აფხაზთა მოწინავე საზოგადოების სურვილი ის არის, რომ მათ მხარეშიც შემოღებულ იქნას ერთი სოხუმის საგუბერნიო ერობა და ოთხიც სამაზრო უკეთუ კავკასიის მეფის ნაცვალი მისი იმპერატორობითი უმაღლესობა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ამ თხოვნას არ შეიწყნარებს, იმ შემთხვევაში დეპუტაცია შეამდგომლობს, რომ მთელი სოხუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიაზედ იქმნას მიწერილი.

დიდი ხანი არ არის რაც კერძოთ აფხაზეთის საქმე სრულიად საქართველოს საქმედ ითვლებოდა და საქართველოს საქმე და საკითხი — კერძოდ აფხაზეთის საქმედ და საკითხად. ისტორიულად აფხაზეთი და საქართველო ერთმანეთის განუშორებელი თანამგზავრი ყოფილა, ერთი ჰქონიათ კულტურა და პოლიტიკა; ერთი ჰქონიათ სახელმწიფოებრივი მიზანი და ცხოვრება საქართველოს პოლიტიკური შეკრება და გაერთიანება აფხაზეთიდან დაწყებულა და ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში დიდი როლი უთამაშნია თვით აფხაზთა მეფეს. ეს სახელმწიფოებრივი თანაცხოვრება მრავალ საუკუნეს განუმტკიცებია აფხაზეთს და საქართველოს ერთმანეთის შველა დაცვისთვის ძალურად სისხლით აფხაზეთ საქართველოს კავშირს ჰქმნიდენ მთელი წლება საუკუნეთა განმავლობაში. აფხაზეთ ქართველთა ისტორია ამის უტყუარი მოწმეა.

მაგრამ ორთავეს დაუდგა სამინელი დრო, როდესაც ერთმა და იმავე ძალამ აფხაზეთი და საქართველო შუაში გასჭრა და ცალ ცალკედ თითეულის გადაგვარებას შეეცადა.

მართალია მკრთალად, მაგრამ დღეს მაინც ერთდროულად, საქართველოს ნაწილის შემოკრება დაიწყო.

ამიტომ დაუცდელად პირველი ჩვენ უნდა მივიდეთ ჟამთა უკუღმართობით ჩამოშორებულ ძმებთან და თითეულში შევიტანოთ საჭირო შეგნება და დავაჩქაროთ შეერთება—შედუღების პროცესი, რათა კვლავინდებურად ძლიერი და მარჯვეული აღვსდგეთ. ჩვენ პირველი უნდა მივიდეთ აფხაზებთანაც და ხელი გაუწოდოთ საერთო აღდგომისათვის გვწამდეს, რომ ძველებური ძმობა და ერთობა გაიღვიძებს და ერთმანეთისთვის ძველებური თავდადება ახალი ძლიერების საძირკველი შეიქნება.

ამაზედ უკეთესი ბედნიერება რაღა იქნება!—დავუმატებთ ჩვენ.

პრესის მაგიერ.

ღია წერილი „მეგობრის“ რედაქციას

(იხ. „მეგობრის“ უკანასკნელი №№)

თუ არ გკადრეს მოახლეო,
თავი მოიმოახლეო.
ქართული ანდაზა.

რადგანაც ჩემს მაგიერად ხმას არავინა სცემს „მეგობრის“ რედაქციას ჩემი უდიერი გალანძღვისათვის, იძულებული ვარ მე თვითონვე დავიცვა ჩემი თავი.

იმედია მკითხველი საზოგადოება და ჩვენი ჯგუფი მაპატიებს ამ სითამამეს.

„სიდარბაისლით, ძლიერებით სახელგანთქმულნო, კეთილშობილნო და სულდიდნო, უფალნო ჩემნო!“

ასე მიჰმართა ოტელომ ვენეციის სენატორებს, როდესაც ბრაბანციომ მას ცილი დასწამა და თავის ქალიშვილის დეზდემონას—მოტაცება დააბრალა.

მართალია ქუთაისსა და ვენეციას შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც „მეგობრის“ რედაქციის თანამშრომელთა და სენატორების შორის; მართალია, მეც ისევე ვგევარ ოტელოს, როგორც „მეგობრის“ ენამახვილი მეპრესე—გამოყრუებულ ბრაბანციოს, მაგრამ რაკი აღთქმა დავდე, არ შემიძლია ამიერიდან თავაზიანად არ ვილაპარაკო, თუმცა „სიტყვა-პასუხი მკვახე მაქვს და კაზმულ ლაპარაკს,—მშვიდობიანის დროს შესაფერს—მოკლებული ვარ, რადგან მას აქეთ, შვიდი წლისა რაც კი შევიქენ, არა მსმენია ტკბილი სიტყვა და გამხნევება.“

ღმერთმა ხომ იცის—ცუდი და საპირადო არა მიმიძღვის რა „მეგობრის“ რედაქციის წინაშეც, თუ ცუდს არ დაარქმევთ ჩემ მიერ მათ მხილებას ზოგიერთ შეცდომაში მაგრამ ალბად „მეგობრელებს“ ბრაბანციოსავით გზა აბნევიათ და დამნაშავედ, ისე როგორც მას ოტელო—მარტო მე მივაჩნივართ ..

ვინც უნდა ჰკრას „მეგობრელებს“ ცხვირში წკიპარტი, ყველა მე ვგონივართ და ჩემს სახელს ოსური ნაბადივით სთელავენ.

ახ, სად არის ერთი უმანკო დეზდემონა, რომ პირზე ხელი დააფაროს „მეგობრის“ კალმოსნებს და ამხილოს უდიერობა მათი.

მართლაც და გაგონილა ასეთი უსამართლობა?

მე, ია ეკალაძეს, ქუთაისში, ყველა მიცნობს, დიდი თუ პატარა, ჩემზე კარგი, თუ ჩემზე ცუდი და „მეგობრის“ ნიღაბოსნები კმაყოფილებით ხელებს იფშვნეტენ, როცა მათ ცილისწამებას ქუჩაში კითხულობენ და სიცილით ჩემზე უჩვენებენ, მაგრამ მე ვილას მოვსთხოვო პასუხი? ვინ მივსცე ხალხისა თუ რუსის სამართალში, რომ ტყვილისათვის მტყუვნის კარამდე მივყვე?

არა მარტო ქვეყნის სჯული და ადათი, არამედ უბრალო პატიოსნება, უბრალო ვაჟკაცობა მოითხოვს, რომ, როცა ვისიმე გამკლავება გინდა, წინ დაუხვდე და არა ზურგიდან ჩასცე ხანჯალი. ასე მხოლოდ მხდალებმა იციან.

ეს ერთიხანია „მეგობრის“ ნიღაბაფარებული კალმოსნები ვილაც მევახშეებთან დაახლოვებას მიკიჟინებენ, ვითომ მათით ვსარგებლობდე და ამიტომ ყოველად პატიოსან „მეგობრელების“ სათრეველიც ვიყო ..

მოვითხოვ „მეგობრის“ რედაქციისაგან დამისახელოს ჩემი ბრალმდებელი. მოვიდეს ის კაი კაცი, მოიყვანოს თავისიანებიც, მოიტანოს საბუთის ქაღალდებიც და თუ მე მტყუანი დავრჩები, შერცხვენილი ვიყო, თუ „ჩემსავე“ გაზეთში არ დავსტამბო ჩემი გამამტყუნებელი განაჩენი!

მაგრამ განა პირზე დაგადგებათ ის კაცი, რომელიც მხოლოდ ცილის წამებისათვის და სხვის გასაბიაბრუებლად არის გაჩენილი?

განა თვალს გაგისწორებთ სიტყვისა და საქმის მრუდე „კალმოსანი“?

სავალალო და სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ასეთებით სარგებლობენ ჩვენი „დიდი მოღვაწეები“ და გამდგარან რა განზე—პილატესავით ხელდაბანილნი—გისევენ ნიღაბოსნებს, რომ გასვარონ და გამოხრან შენი სახელი.

საჯაროდ მოვითხოვ ყველასაგან და განსაკუთრებით „მეგობრის“ რედაქციისაგან: ან დაამტკიცოს თავისი ბრალდებანი ჩემს წინააღმდეგ, ან სთქვან სახელდობრ, რომელია, რომ ასე კადნიერდება!..

ხმა მაღლა ვიძახი: მე მესმის ჩემი მდგომარეობაც, ჩემი მოვალეობაც, ჩემი ყოფნაც ჩემს პირად მტრებს შორის და იმისთანას არას ჩავიდენ, რომ არ შემეძლოს თამამად შევხედო ხალხს თვალებში

მე ჩემს დღეში არ დამიმალავს არც ჩემი და არც სხვისი ცოდვა.

ამაში დიდიხანია დარწმუნებული უნდა იყოს ქუთაისის ქართველი მკითხველი საზოგადოება და თუ ცოტა ეჭვი კიდევა აქვს ვისმე, ყოველთვის მზადა ვარ გავუქარწყლო ეს მცირე ეჭვიც!

შეუმცდარნი და უწყინარი გვამები მხოლოდ სასაფლაოზე წვანან, მე კი, როგორც ხორცთაშინა მყოფი, შეიძლება ხშირად შევცდე ხოლმე და ადამიანის მაგივრად გველი შემრჩეს ხელში, მაგრამ იმდენი გამბედაობა მაინცა მაქვს, რომ საჯაროდ ვაღიარო ჩემი შეცდომა, მაგრამ თქვენ, თქვენ „მეგობრის“ ბატონო ნიღაბოსნებო, განა გაქვთ იმდენი ვაჟკაცობა, რომ ნიღაბი აიხადოთ?

მე ყმაწვილი აღარ გახლავართ და არც იმიტომა ვმუშაობ გაზეთებში, რომ „ლუკმა პური“ ვიშოვო—ამისთვის სხვა უფრო ფართე გზა მაქვს: მე შემიძლია, მაგალითად, ერთსა და იმავე დროს ნაფიცი ვექილიც ვიყო და ბანკის მოხელეც, განა ჩემზე ყოჩაღები არიან ის ყმაწვილები, „პორტფელსაც“ რომ დაათრევენ სასამართლოებში და „ქომაგობასაც“ რომ უწევენ იმ „მიმართულებას“, რომელიც არცა სწამსთ და არც არაფრად მიაჩნიათ? მაგრამ მე ეს ვერ ვიკისრე, ჩემი უნიჭობის გამო ამ სფეროში,—ვერ მოვახერხე ორ სკამზე ჯდომა.

დიაღ! მე თუ ვმუშაოვბ გაზეთში, ვმუშაობ იმიტომ, რომ მინდა ჩემი მცირე წვლილიც შევიტანო სამართლიანობისა და ადამიანობისა ჩვენში.

არ მოგწონთ ჩემი მოქმედება, ჩემი აზრი? დამიმტკიცეთ, ბატონებო, ჩემი შეცდომა და—თუ მიკადრებთ—თქვენთან დავიწყებ მუშაობას, მაგრამ თქვენ ამას ვერ დამიმტკიცებთ!

თქვენ კარგად იცით რომ საზოგადოდ, ასში სამი არ არის ნამდვილი იდეის კაცი, ნამდვილი გულწრფელი მოღვაწე.

თუ გნებავთ თითებზე ჩამოგითვლით, ვინ რა მოტივით „მუშაობს“ და რა მოტივით მოღვაწეობს „ჩვენში“ თუ „თქვენში“, „მარჯვნივ“, თუ მარცხნივ“!

ამ ცბიერსა და ვერაგ წუთისოფელში ბევრი როდი არის თავის თავის „მტერი“ და თუ მე ასე გაჰრით გიდგევართ პირში, გიდგევართ იმიტომ კი არა, რომ მე ამით რაიმე სიკეთე მეძლევა, პირიქით მე ბევრ რამეს ვკარგავ (და დავკარგე კიდეც), მატერიალურად, (მაგალითად, ჩემი ქართული გიმნაზიიდან დათხოვნა, სწორედ თქვენიანების ინტრიგების ბრალი იყო, თორემ ჩემზე უკეთესი მუშა კაცი იქ ბევრი არ არის! ამას თამამად ვამბობ და, როცა გნებავთ ყველას საჯაროდ შევეჯიბრები!

დიაღ! თუ პირში გიდგევართ, გიდგევართ იმიტომ, რომ არ მომწონს და მავნებლად მიმაჩნია ჩვენის ქვეყნისათვის ჩვენის მომავალისათვის ყოველივე ვიწრო-ჯგუფური, შენ ჩემობასა და ბიძიაობაზე აშენებული ურთიერთობა, რომელი სენიც ყველაზე უფრო გჭირთ თქვენ, ბ-ნო ფედერალისტებო!

ამის გულისთვის იყო, ბატონებო, რომ იმ დროს, როცა მარტო ჩემის ზურგით ვათრევდი „სახალხო გაზეთს“ (1908 წ. ექვს თვეს ვიყავი ფაქტიური გამგებლად იმ გაზეთისა) უკმაყოფილება გამოვუცხადე თქვენ ჯგუფს, ამიტომ იყო, რომ დავაარსე ქ. გორში გაზეთი „ქართლი“. ამიტომ არის, რომ ეს მერვე წელიწადია უზომო და წარმოუდგენელ შრომას ვეწევი ქუთათურ მეორე ჯგუფის გაზეთში!

თამამად, საჯაროდ ვამბობ, ვერც ერთი თქვენთაგანი არ გაიღებს და არ გასწევს იმდენ მსხვერპლსა და შრომას, რამდენსაც მე ვეწევი სამართლიანობის დასათესად და განა იმიტომ, რომ ვილაცა ნიღაბოსნების სამსხვერპლოც ვიყო?

რა, რა გინდათ ჩემგან!

— არ მოგწონთ ჩემი თქმა? —

თქვენ უკეთესი ბრძანდებით, ჩემო ბატონებო!

— გიჟი გგონივართ რომ მთელ ჩემ დროს ჩემს მოცალეობას ვწირავ ჩემ „ყალბ“ აზრებს?

თქვენ ხომ ჰკვიანები ხართ თქვენ ხომ თბილათა და კარგათა ბრძანდებით, თქვენ ხომ სახელიცა გაქვთ და სახრავიც!

„მაშ, რას ჩამცივებიხართ! განა რა მოგტაცეთ? რა გველი [illegible] რომელი ჩარჩისა და მოვახშის სწორი მნახეთ?

არ დავიმალავთ, ბევრ აქაურ მოვახშისათვის მიმიცია თუმანში სამ აბაზზე თვიური სარგებელი, ოღონდაც კი გაზეთი „სამშობლო“ გამეუმჯობესებინა?

ან რა დამემართებოდა, მაშინ, რომ ნატვრა აგსრულებოდათ ჩვენს „ჩემიანებსაც“ და „თქვენიანებსაც“ და გაზეთი ხელში შემომკვდომოდა?

მე თქვენ მოგახსენოთ, შეხვიდოდით ადამიანის მდგომარეობაში და დააფასებდით იმ ტანჯვა-წვალებას, რომელსაც მე ვიტანდი და ვიტან!

პირიქით დაჰკრავდით განგაშს, როგორც ეს მიყვეს გორელმა „ფედერალისტებმა“ და მთელ საქართველოს ამცნობდით:

— ია ეკალაძე უნიჭოა, ინტრიგანია!..

აგვრივ დაგვერია, გაგვლანძღა, გაგვათრია, ფულები შეჭამა და გაზეთი მოგვტაცა!..

მე სრულიად ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ გაზეთის გარშემო კვლავ მთელი ჯგუფი გაჩნდა.

ახლა გაზეთი „სამშობლო“ ეკუთვნის გამომცემელ ამხანაგობას, ეკუთვნის მთელ ჯგუფს და ამავე ჯგუფმა დაინახა, რა ყოფილა გაზეთის გამოცემა!..

მაშ, ვისა აქვს ნება გაზეთ „სამშობლოს“ უწოდოს პირადად „ჩემი“ გაზეთი, როგორც ნებულობთ თქვენ, ბ-ნო მეგობრისტებო!

მაშ, ვისა აქვს ნება [illegible] ჩარჩ-მევახშეების მეგობრობა, თუმცა მე ისინი ისევე მძულს, როგორც ის ნიღაბოსნები რომელთაც თავის დროშის საჯაროდ გამოტანისა სცხვენია და თავის „მიმართულებას“ ოსპის შეჭამადზე სცვლიან, რომლებიც კი არც წვადი დასწვან და არც შამფური, ე. ი. შინ მოღვაწედ ითვლებიან და გარედ [illegible] და ერთგულ [illegible]!

თქვენი თვითმოყვარეობა იქამდის კი მივიდა, რომ ჩაბეზღარიც კი მიწოდეთ!

[illegible]!.. ნათქვამია, [illegible] გამოთქვამს [illegible], როს ყრმა ნახო ცუდად [illegible].

[illegible] ცუდათ გაგვიზრდიხართ, ახალგაზრდები, და [illegible] „გამზრდელივით“ თუ თავს არ [illegible] თქვენი [illegible], ჯერ კიდევ იმის იმედი მაქვს, რომ ქართველი ხალხი, ის ხალხი, რომელიც რეალ გამოფხიზლების გზაზე უკვე შესდგა, -მალე დაგვაფასებს თქვენცა და ჩვენც.

მანამდე კი [illegible] მელაპარაკოთ და [illegible] დამიხვდეთ ხოლმე წინ...

ამით ვათავებ თქვენთან [illegible] კამათს და თქვენს პირებს [illegible] ღირსად აღარ ჩავსთვლი [illegible], ძლიერებით სახელგანთქმულნო, კეთილშობილნო და სულ-დიდნო [illegible] ჩემნო!“

თქვენი და თქვენის რედაქციის ნიღაბოსანთა არაპატივისმცემელი

ია ეკალაძე.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

მომავალი თვის 7 მაისს ქალაქის თეატრში ავადმყოფი მსახიობი ვალ. შალიკაშვილი გამართავს საღამოს. დაწვრილებით გამოცხადდება გაზეთსა და აფიშებში.

◆ ბლახვანის შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტი ამავე სამკითხველოს [illegible] მართავს ელექტრო თეატრ [illegible] სეანსებს. სურათების ჩვენება დაიწყება საღამოს 5 საათიდან [illegible] ნები იქნება [illegible]

იმედია, ქუთაისის საზოგადოება ბლომა დაესწრება და თავის წვლილს შეიტანს სა კითხველოს ნივთიერად გაღონიერებისა თვის.

◆ პოლონეთის სხვადასხვა ქალაქ ში დაარსებულა კლუბები, რომლის წ რების მიზანია საერთო აზრის შემუშავე პოლონეთის პოლიტიკურ საკითხის გას კვევად.

◆ ბათომიდან გაზეთ „საქართველო გრიგოლ ელიავა აცნობებს: მოვისმინ თქვენი და გამომცემი ამხანაგობა „ს ქართველოს“ წარმომადგენელთა წინა დება. გიგზავნით მხურვალე სალამს სურვებთ სრულ წარმატებას გაზეთ „საქ თველოს“ რედაქციას, რომელმაც ძლ ერად ჩამორეკა სამშობლოს სიყვარულ ზარები და მხნედ ენერგიულად ემსა რება ერის უსაჭიროეს თანამედროვე ინ ტერესებს.

◆ ამავე გაზეთმა ბათუმიდანვე მიი მეორე დეპეშა მგალობლიშვილისგან ბ თომელმა ქართველობამ პირველსავე სხდ მაზედ გამომცემი ამხანაგობა „საქართვე ლოს“ პაიები შეიძინა ექვსი ათასი მ თისა ხელის მოწერა გრძელდება

◆ შ. მღვიმელის ნაწარმოებთა გამოც მის უფლების შეძენის შესახებ ოცხე წიგნის მაღაზიამ აცნობა ქართულ კულ ტურის მოყვარე საზოგადოებას ქუთაის დან, რომ იგი თანხმაა ეს უფლება გად სცეს ამ საზოგადოებას. ამის გამო გამგ ობამ დაადგინა მადლობა გამოეცხადო ბ. ოცხელს და საგანგებო კაცი გაგზ ნოს ქუთაისს ხელშეკრულების დასაწ რათ და შემდეგ ხელის მოწერა გამა თოს შ. მღვიმელის ნაწარმოებთა გამოც მაზე.

◆ კვირას, 8 მაისს და ორშაბათს, მაისს თბილისის ქართველ მომღერალთ გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით ქუ თაისის ქართულ თეატრში გამართავს ო დიდ კონცერტს.

◆ უპურობა ქუთაისში. ქუთაისში ამჟამა პური სრულიად არ იშოვება. კოოპერა ტიულ საზოგადოებას პურის ფქვილ შემოელია. სხვა ვაჭრებს-კი ჯერ არ მ სვლიათ ფქვილი; საჭიროა ფიცხელი ზო მების მიღება.

◆ ქუთაისის ფქვილის მოვაჭრე მი კაკიტელაშვილს დეპეშით აცნობებენ დო ნის როსტოვიდან, რომ ფქვილის უქო ლობის გამო, მას დაკვეთილ ფქვილს ვე გამოუგზავნიან.

◆ ქუთ. ქალაქის თეატრში ამ ჟამა თბილისელი რუსული საოპერო დასი მა თავს ოპერებს. საზოგადოება ბლომა ესწრება.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა სოხუმ ქალაქის გამგეობის წევრათ დაამტკ ხმოსანი ვლ. ნიკ. დოლინსკი.

◆ ამავე ქალაქის გამგეობა სოხუ ქუთაისისას აცნობოს უსაჭიროეს სან ვაგეზე არსებული ნიხრი.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გუ ბერნატორს წარუდგინა საოჯახო კომ სიის დადგენილება სხვადასხვა უსაჭირო სანოვაგეზე დაწესებული ნიხრის დასამტ ცებლათ.

◆ ქუთაისის გუბერნატორის წინაშ შეამდგომლობა აღძრა ფოთის ქალაქ თვითმართველობამ, რომ თავის მხრ გუბერნატორმა მისცეს ქალაქს ჯარ კაცთათვის წყლის მიწოდებისათვის ხარჯული 300 მ. 22 კაპ.

◆ ბაბილინა გაბელიას ქალი გვთხოვს მოვაცხადოთ, რომ მან 27 აპრილს საღამ ქარავანსარაიას ქუჩაზე დაჰკარგა გულზე კიდი საათი შავი ყაითნით, მპოვნელს მიიტანოს დადიანის ქ. შესახ სახლში რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

◆ ქუთაისის ვიცე გუბერნატორმა ჰო ვენცელმა დააჯარიმა ღვინის ნება დარ დად გაჭრობისათვის ქუთ. მოვაჭრე [illegible] [illegible] 5 მან. ან სამი დღის ციხით. იარაღის ნება დაურთველათ ტარებისათვის ს. გვრეთის (შორ. მაზ.) მცხოვრები იოა ნტე ჟღენტი 10 მან. ან სამი დღის და საღებით

◆ რედაქციამ მიიღო სამეცნიერო პ კური და სალიტერატურო ჟურნალ „ს ლი და ოჯახი“ ს № 2 და საყმაწვილო ჟ ნაკადულის № 7 აპრილის.

— ბაზრის ზედამხედველმა კერძოთ [illegible] შეუწყინა გამოუცხვარი პურის გამყიდ [illegible] გაგარინის ქუჩაზე მოვაჭრე მეპურეს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი მოხელენი პასუხის გებაში.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე რუსეთის ის ერთი ნაწილი გაკვრით აღნიშნავა, რომ რუსეთის ბედ იღბლის ტრიალი ად არა სასურველსა და საშიშ პირთა ლშია, რომ ეს „არა სასურველნი პირ- · რუსეთს ერთ დღეს უთუოდ კატასტროფამდი მიიყვანდენ და შეძლებისა და გვარად ყოველ მხრივ აფრთხილებდა ხალს ნამდვილ გულშემატკივართ.

მაგრამ იმ ხანად სულ სხვა დრო იყო, ეს ძველებურად, წყნარად ათბობდა, არა სურველ „მავნე პირთა“ სხვადასხვა ბოროტმოქმედებით,

ოფიციალი ნაწილი კი თითქოს რას ხედავდა, და ვერც დაინახავდა, რად ან კერძოთ მის საკუთარ სხეულს არაერი სტკიოდა.

მაგრამ ცხოვრებაში ისტორიამ იცის რიგვარი გაკვეთილის მიცემა, მწარე დღების განცდა და იმ პირებს, რომელნიც „ბალებსა“ და კაბინეტებში მთქნარებით ატარებენ დროს, ქვეყნის ბედ-იღბალს ელში ათამაშებენ, ხალხსა და მის ტკილ-საჭიროებაზე ერთგვარი კოშმარული წარმოდგენა აქვთ, მათდა უნებურათ დაუვამს ხოლმე კითხვას: ძველი გზით სიარული შეუძლებელია, ან ახალი აირჩიე, ან გადადექი.“

აჰა მოხდა დღევანდელ ომის დროს, რომელმაც საოცრად არივ დარია და შესცვალა რუსეთის ცხოვრების სახე.

მაგრამ დღეს, ამ მსოფლიო რღვევანგრევამ ფარდა ახადა ზოგიერთ დიდ მოხელის ბოროტ-მოქმედებას და სასტიკ სამსჯავროს წინაშე დააყენა.

დღემდის რუსეთის ოფიციალმა წრეებმა „მავნე-ბოროტ-მოქმედ პირებათ იცნო მხოლოდ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი დ სამხედრო მინისტრათ ნამყოფი კარპატების კატასტროფის ცნობილი გმირი სუხომლინოვი. აქ, სხვათა შორის, სამწუხარო ის არის, რომ უმაღლესი მთავრობა „ბოროტ მოხელეთა“ წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ იღებს ხმას, როდესაც ესენი პირდაპირ მთავრობას ავნებენ. მაგალითად, სუხომლინოვი მხოლოდ მაშინ მისცეს პასუხის გებაში, როცა მან კარპატებში მებრძოლ ჯარს საჭირო მასალა არ მიაწოდა, ხელი შეუწყო რუსეთის ჯარის დამარცხებას, და მით შეურაცხყო რუსეთის დროშა. რასაკვირველია, მთავრობისათვის ეს არ იყო სასიამოვნო და ამიტომაც სენატორმა ბოროდოცკიმ, ნამინისტრალი სუხომლინოვი საქმის გამოძიებამდე პეტრე-პავლეს სატუსაღოში გაამზავნა

უნდა ითქვას, რომ ბოროტ-მოქმედებაში შენიშნული სუხომლინოვი არ არის პირველი და უკანასკნელი. იმისთანა პირები დღეს ვებერთელა რუსეთის მოუწყობელ იმპერიაში ბევრი დათარეშობს; რომელთა მავნე მოქმედება გამოუაშკარავებელი რჩება.

დღევანდელი საზღაპრო სიძვირე, რკინის გზის უწესოებანი სავსებით ომის გამო არ არის გამოწვეული, ის ხელოვნურად შექნეს იმ პირებმა, რომელნიც ამ ქვეყნად მხოლოდ თავის თავის სასარგებლოთ იღწვიან, ხოლო ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს-კი ფეხქვეშ თელავენ.

რადგან დღეს შექმნილ განსაკუთრებულ პიროვნების წყალობით ,,ხსენებულ ბოროტ მოქმედ პირთ'' პირბადე ეხსნებათ, საჭიროა, რაც შეიძლება მეტი მოიძებნოს ასეთი პირები და სათანადოთ დაისაჯონ, რასაც მოითხოვს რუსეთის კეთილდღეობა, ვინაიდან რუსეთის ცხოვრება მხოლოდ მაშინ შესდგება პროგრესის გზაზე, როცა შინაურ მართვაგამგეობაში რეორგანიზაცია მოხდება და სათავეში მოექცევიან ისეთი პირები, რომელნიც ხალხის კეთილდღეობას დაუკავშირებენ რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობის პრინციპს და ამის მიხედვით გაატარებენ ცხოვრებაში საკანონმდებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ და უზენაესათ დამტკიცებულ კანონებს.

მარტო გამარჯვება ბრძოლის ველზე საკმაო არ იქნება რუსეთის ცხოვრების გასაუმჯობესებლათ და სწორეთ შინაურ რეფორმების მოხდენას დღესვე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება მართველ წრეების მიერ. ი- დ.

სამხედრო სასპორტო კომიტეტი.

სამხედრო სასპორტო კომიტეტის თავჯდომარე, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი, ბ. ნ. გორაბუნოვი აცხადებს, რომ რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა ფიზიკური განვითარების მთავარ მეთვალყურის ნებართვით, თანახმათ 1915 წლის 8 დეკემბრის თარიღით, უმაღლესად დამტკიცებულის „სპორტის მობილიზაციის დებულებათა“, ქ. ქუთაისში კლასიკურ გიმნაზიაში შესდგა სამხედრო სასპორტო კომიტეტი, რომლის მიზანია ჯარში გასაწვევთა წინასწარი მომზადება და აგრეთვე სპორტის მოსაწყობათ ქალაქსა და ახლო სოფლებში სხვადასხვა საზოგადოების, ორგანიზაციის, სასწავლებლის და კერძო პირის მუშაობის გაერთიანება.

„წინასწარ მომზადებულ კურს დასრულებულს“ სათანადო მოწმობა მიეცემა და, თუ იგი გაიწვევს, ან და თავისი ნებით მოისურვა ჯარში შესვლა, მას, სხვებთან შედარებით, გარდა იმ ჯარისკაცთა, რომელთაც ომში რაიმე სამხედრო ჯილდო მიუღიათ და აგრეთვე სახალხო მასწავლებლათ ნამყოფთა,—პრაპორჩიკთა სკოლაში შესვლისას განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭება, თუ, რასაკვირველია, გაწვეული ამ სკოლაში შემსვლელთათვის არსებულს ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

აგრეთვე უპირატესობა მიეცემა წინასწარ მომზადებულს“ ვარჯიშობის დროსაც.

ვინც ინსტრუქტორის წოდებას მიიღებს, თუ სათადარიგო ქვეითა ბათალიონში შევიდა და სასწავლო კურსი წარმატებით დაამთავრა, იგი სამხედრო ხელოვნების მასწავლებლად უპირატესობით დაინიშნება.

ყმაწვილები მიიღებიან არა უმცირეს 16 წლისა.

კურსებზე შემსვლელთა ჩაწერა შეიძლება ყოველდღე ქუთაისის მთავრობის გიმნაზიის კანცელარიაში.

საბჭოს კრება.

კრება იწყება სად. 9 საათსა და 15 წუთზე. თავჯდომარეობს ქალაქის მოურავის მოადგილე **ა. მოსიძე.** ირჩევა ქალაქის აფთიაქის მოსამსახურეთა შტატისა და ჯამაგირების მომატების საკითხი.

იაშვილი აღნიშნავს დღევანდელ აუტანელ მდგომარეობას და მოითხოვს მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებას.

ბადრიძე. პროვიზორის ბინის ქირათ გადადებულია 400 მ. რაც ჩემის აზრით, ცოტაა, ვინაიდან ვერ წარმომიდგენია, ამ ფულით როგორი საცხოვრებელი ბინა უნდა იშოვოს კაცმა. შეიძლება ეს ფული საკმაო იყოს, ვიდრე ჩვენს ბინაზე იცხოვრებს პროვიზორი, ხოლო თუ გარემოებამ აიძულა სხვაგან. მოსძებნოს, მაშინ კი არ იკმარებს და საჭიროა პროვიზორის ჯამაგირს ბინის ქირაც მიემატოს.

კურადაშვილი: დღევანდელი ჯამაგირები მოსამსახურეთა დადგენილია 1905 ას შემდეგ ცხოვრება გამოიცვალა, გართულდა, მაგრამ ჯამაგირი ჩვენს მოსამსახურეებს კი ისევ ძველი აქვთ. როგორც საშტატო კომისიას, ისე გამგეობას ჯამაგირები მოუმატებია პროვიზორისათვის ორიოდე მანეთი. მათ თანაშემწეთათვის ისიც კი არ მიუმატებიათო. იგი ეხება აფთიაქის მოსამსახურეთა აუტანელ მდგომარეობას და მოითხოვს ნივთიერათ უზრუნველყოფას.

ბარათაშვილი: საკითხი ასეა დაყენებული: დავეთანხმოთ საშტატო კომისიის შემუშავებულ პროექტს, თუ გამგეობის დადგენილებას. ამ შემთხვევაში ბევრი ლაპარაკი არ მოგვიხდება ცხადია, საშტატო კომისიის დადგენილება უფრო კანონიერია.

ქ. ჩიქვაიძე: ჯამაგირების მომატებას ეთანხმება.

ფანცხავა: საშტატო კომისიამ, ჯამაგირების მომატების დროს ომისგან გამოწვეულ სიძვირე კი არ იქონია მხედველობაში არამედ ჩვეულებრივი დრო. ამიტომ ომის გამო ჩვენ შეგვიძლია ცალკე მივსცეთ დახმარება მოსამსახურეებს.

ბადრიძეს შეაქვს წინადადება პროვიზორის თანაშემწეებს დაენიშნოს წლიურათ 1100 მან.

თავჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ აფთიაქის მოსამსახურეებმა ეკონომიური მოთხოვნილება წარმოადგინეს და საჭიროა გადავსწყვიტოთ—გაირჩეს საბჭოს კრებაზე, როგორც ისინი მოითხოვენ, თუ კომისიას გადაეცეს. კრებამ საკითხი კომისიას გადასცა.

მიიღეს ტელეფონისა და ბიბლიოთეკის მოსამსახურეთა ჯამაგირების შესახებ საშტატო კომისიისა და გამგეობის მოხსენება.

შემდეგ გადადიან უფასო სამკურნალოს მოსამსახურეებზე.

ბადრიძე: ბ-ბო, სამკურნალოს გამგეს, ვინც უნდა იყოს, დიდი მოვალეობა აქვს მით უმეტეს ისეთ პატიოსანსა და მუყაით ადამიანს, როგორიც არის ბ ნი ვასილ წერეთელი. იქაური ექიმი საუკეთესო დროს სამკურნალოში ატარებს და კერძო პრაქტიკას მოკლებულია.

ბადრიძე წინადადებას იძლევა მოემატოს ექიმს 300 მან. ე. ი. წლიურათ 1800 მან.

ფანცხავა და კვირკველია ეთანხმება ბადრიძეს კრება ერთხმათ. იღებს ამ წინადადებას.

კამათს იწვევს სანიტარული ორგანიზაციის მოწყობა.

ჯაფარიძე და ბადრიძე აღნიშნავენ ამ მხრით ქალაქის უნუგეშო მდგომარეობას და სასურველად სცნობენ მოიწვიონ ისეთი ექიმი, რომელიც მარტო სანიტარული საქმე ექნება დავალებული და გაადიდონ სანიტარული ფერშლებისა და სანიტარული მზრუნველების შტატი.

ფანცხავა აღნიშნავს, რომ ქალაქის სანიტარულად გასაუმჯობესებლათ, გარდა იმ ზომებისა, რომელიც აქ წარმოითქვა, საჭიროა კანალიზაცია.

ვიდრე კანალიზაცია არ გვექნება მანამ სასურველ მიზანს ვერ მივაღწევთ, რაც უნდა კარგათ მოეწყოს სანიტარული ორგანიზაციაო. კრებამ დაადგინა მიეცეს სან. ექიმს 2400 მ იმ პირობით, რომ სპეციალურათ ამ საქმისთვის იზრუნოს და მასთან მას ექნეს ანალიზისათვის კაბინეტის მოწყობის უფლება. სანიტარულ მზრუნველებათ დაინიშნოს 4 კაცი და სამი ფერშალი ფერშალს ექნება 600 მ. და სან. მზრუნველს კი 420 მან. წლიურათ.

კრება ღამის 11 საათზე დასრულდა. მომავალ კრებაზე გაარჩევენ საკითხს 5 წლის ნამსახურობისათვის ჯამაგირის მომატების საკითხს. გ—ი.

პასუხად გაზეთ „მშაკს“

გაზ. „სამშობლოში“ დაბეჭდილ წერილების გამო

(დასასრული იხ. „სამშ.“ 342).

,,მისიონერული დღიური-''ს წერა დაუწყიათ გორის კათოლიკეთა ეკლესიის პატრებს. დღიურის ხელნაწერი რაღაც შემთხვევით 1752 წ. ახალციხეში გადაუტანიათ და ინახება იოანე ნათლისმცემლის წიგნსაცავში, სადაც ეს ვნახე 1880 წ. ვინმე მესხთან. ამ დღიურში ბევრი რამ ცნობაა მოხსენებული ქართლის სოფლების ქართველთა გასომხების შესახებ. აქ მოხსენებული იყო ხუთამდე სოფელი, სადაც სომხის ხუცებმა ქართველები დანათლეს სომხურათ.

ამის შესამოწმებლათ მოგახსენებთ ერთ უფრო ახალ მაგალითს 1915 წ. შემოდგომაზე მე ვიყავ გორს, ვიყავ გორის მესტამბე მაჰავარიანთან; სხვათა შორის, სტამბაში მოსულა ერთი სომხის ტერტერა და დაუკვეხნია დ მაჰავარიანთან, რომ ქართლის ერთ სოფელში ქართველები ისე გავსომხე, რომ იქ ქართველად მხოლოდ ერთადერთი კაციღა დარჩაო. ვთხოვ პატივცემულ მესტამბე დ. მაჰავარიანს ეს ჩვენი გარდმოცემა დაამოწმოს, რომ ხსენებული ცნობა, რომელიც მოგახსენეთ აქ, იგი მართალია, თუ ტყუილი?

,,მისიონერული დღიური'', ნაწერი ახალციხის ეკლესიებშიმყოფ მოქართულე ლათინის პატრებისაგან. ეს დღიური ინახებოდა ახალციხის იოანე ნათლის მცემლის ეკლესიის სამკითხველოში.

ამ დღიურის ცნობების დამწერი პატრები თავიანთ სახელს არ მოიხსენებენ: ისიც კი სჩანს კარგად, რომ მესხეთ-ჯავახეთსაც სომხის ხუცებს ქართველებს გარდა სომხის სჯულზე გადაუყვანიათ თვით კათოლიკენიც, რაც თურმე დიდს შურსა და მტრობას იწვევდა ხალხში.

ამ ,,მისიონერულ დღიურს'' ეტყობა, რომ მასში თფილისში ნამყოფ კათოლიკ მისიონერებსაც უნდა ეწერათ სხვა და სხვა ცნობა ვინაიდგან შიგ მოყვანილია აუარებელი ცნობა ისეთ ქართველებზედაც, რომელნიც თფილისსა და ქართლის სოფლებში გასომხებულან. XVIII საუკუნის დამლევს, რომ საქართველო რუსეთსა არ შეერთებოდა დღემდე მთელ ქართლ-კახეთის ქართველობა სულ სომხის ეკლესიასთან იქნებოდა დაკავშირებული. და ეს უსათუოდ მოხდებოდა, ვინაიდგან ქართველნი თავიანთ ყმა გლეხებს აშკარად ჰყიდდენ სომხებზე და ცოტა ფასსაც იღებდენ თურმე. იგივე დღიური მოწმობს, რომ სომხის ხუცებისაგან საჩუქარს იღებს თვით ქართველთ კათალიკოსი და თფილისის მიტროპოლიტიც, რომელ საჩუქრებსაც მათ ეჩმიაძინი უგზავნისო.

პატრიარქისა და მიტროპოლიტის მაგალითითა ქართველთ დიდებულნიც სიამოვნებით იღებენ საჩუქრებს და სამაგიეროთ მათ ქართველთ გოგო-ბიჭებს აძლევენო. მარტო თფილისში კი არა, სომეხნი თავიანთის ოსტატებით, მთელ საქართველოში ასომხებენ ქართველებსაო.

ერთი მისიონერი შემდეგს სწერს:

,,ღმერთმა მშვიდობა მისცეს სომხებს, მათ რამდენიც სურთ, გაასომხონ ქართველები, ხოლო ჩვენ კათოლიკებს კი თავი დაანებონ და მათაც ნუ გვისომხებენ ქართველების მაგალითით.

უნდა მოგახსენოთ, რომ ქართველ კათოლიკეთა რიცხვიც ერთობ ბევრია გასომხებული. ქართველ კათოლიკეთა გასომხება აი რამ გამოიწვია მათში:

სომხის მხითარისტებმა იმეცადინეს და სომეხ კათოლიკის ტიბიკონი რომის ტახტს XVIII საუკუნის დამდეგიდან აკურთხებინეს და იგი სომხებთათვის უმთავრეს საქმეთ გახადეს; მათის მეცადინეობით ეს სომხის ტიბიკონი ქართველებსაც მიაღებინეს და მასთან დაარწმუნეს ქართველ კათოლიკენი, რომ ისინი შთამომავლობითაც სომხები არიან და მასთან სომხის კათოლიკენიც. ამ გარემოებამ მთელი ქართველი კათოლიკობა გაიტაცა და ერთობ დიდი ნაწილი გახდა მომხრე სომხის გვარის, სომხის ნაციონალისტ-მხითარისტებისა და თვით სომხის ეკლესიასაც კი დაუკავშირდენ ბოლოს ესენი.

იმის ცნობაც არის დარჩენილი, რომ ბევრმა მდიდარმა ქართველმა კათოლიკემთავის ქონებიდან, სომეხთა მხითარისტების ძმობაში დიდძალი ფული შეიტანა და ანდერძით ამას სტოვებდენ სომეხთა სასარგებლოდ, ვინაიდგან იგინი ცდუნებით გასომხებული იყვნენ და თავიც სომხათ მიაჩნდათ.

XVIII საუკ. დამლევს, სცხოვრებდა ერთი მღვდელი სტეფანე მეფისაშვილი, ამ სტეფანემ თავის წილით მხითარისტების ძმობაში შეიტანა რამდენიმე ათასი თუმანი. ამისმა ძმამ სტეფანეს სიკვდილის შემდეგ, ბალდასარა მეფისაშვილმა შეიტანა 45 ათასი მანათი. ერთმა კათოლიკემ იმავ დროებში შეიტანა 6000 მ. მეორემ 5000 მან. ასევე ბევრმა სხვამ ყველა ეს ფული ქართველ კათოლიკეთა ოჯახებიდან გასული გადავიდა სომეხ მხითარისტების კასაში და მერე ხმარდებოდა თვით ქართველ კათოლიკეთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეებს.

ქართველების გასომხების [illegible] ლევა ხსენებული ,,მისიონერული დღიურები''. ეს დღიურები ნაწერ[illegible] თვით კათოლიკის მისიონ[illegible] მელთაც ეჭვი არაა, რომ ტყუილების მოგონება არ დასჭირდებოდათ. მათი ცნობები რომ შესაწყნარისი არ იქნეს, იმ გარემოებაზე რაღას ვიტყვით, რომ დღეს ქართლსა და კახეთში და თფილისში ათი და ოცი ათასი ნამდვილი ქართულის გვარისონი სცხოვრებენ, რომელნიც დღეს თავს სჯულის გამო სომხათ აღიარებენ?

ჩვენ ამ ისტორიულ ,,მისიონერულ დღიურის ცნობებს'' ვერწმუნებით და აქ ასე თამამათაც მიტომ ვლაპარაკობთ.

ამავ ,,დღიურებით'' კარგად სჩანს, რომ ქართველთა გასომხება XVII საუკ. დაწყებულა

ამიტომაც კარგს იქმს პატივცემული გაზ. ,,მშაკი'' თუ ამ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას და მტრობასა და შუქარას თავს დაანებებს. ჩვენ ისტორიული ფაქტები გვწამს და, იმედია, ამის წინაღმდეგი არც თვით „მშაკი“ უნდა იყოს, ვინაიდგან იგიც ხშირად ბეჭდავს ისტორიულ წერილებს. ჩვენ არც მტრობა გვაქვს მხედველობაში და არც ერთის გვარისაგან მეორეს შეჭმა, აქ მარტო ისტორიული საბუთები მოგვყავს და ანგარიშსაც ვუწევთ. ეს ნუ თუ მტრობა არის და გვარისაგან გვარის დამცირება? არა გვგონია. ამით ვათავებთ ჩვენს პასუხს და ვსთხოვთ გაზეთ ,,მშაკს'' მოიყვანოს ამ ისტორიული ფაქტების გამამათილებელი ფაქტები, რასაკვირველია, ისტორიულათ დასაბუთებული, თუ მართლა საქართველოში, ქართველთა შორის, ქართველ გრიგორიანები არ სცხოვრებენ.

ზ. ჭ

ვილჰელმი და სოციალ-დემოკრატები.

ამ ბოლო დროს კაიზერი ხშირად დარბაზობს სოც დემ. პარტიის წარმომადგენლებთან. ვერდენის ფრონტზე წასვლისას ვილჰელმს მიუღია. გამოჩენილი სოც. დემ. ფრაქციის წევრები შეიდემანი და ებერტი ვილჰელმი შეკითხებია მათ როგორ პოზიციას დაიკავებდენ სოც დემ. იმ შემთხვევაში თუ ომი გაჭიანურდება? სოც. დემ. ფრაქციის წევრებს განუცხადებიათ: ჩვენ მყისვე მეომარ მთავრობას ჩამოვშორდებოდითო.

დარბაზობის დროს ვილჰელმი, სხვათა შორის, შეხებია შინაურ პოლიტიკას და განუცხადებია: „მე დღეიდან აღარ ვმტრობ სოც დემ. პარტიას და აგრეთვე ურიგდები მარქსიზმსა“. სოც. დემოკრატებს ვილჰელმმა უსაყვედურა მხოლოდ ანტიპატრიოტული განწყობილება. ვილჰელმმა მოაგონა სოც დემ. ლიდერებს, რომ ამ 35 წლის წინათ გერმანიაში უნდა შემოეღოთ ავადმყოფობისაგან დაზღვევა და საფაბრიკო კანონმდებლობა, რასაც სოც. დემოკრატები წინაღუდგნენ. გერმანიას, სთქვა კაიზერმა, ერთად ერთი სოციალურ პრინციპების ხელმძღვანელი ქვეყანააო.

საფრანგეთს ჰყავდა სოც. დემ. მინისტრები რომელთაც არაფერი არ გაუკეთებიათ ამ დარგში, მხოლოდ გერმანიამ კი ყოველ შესაძლებლობას გადააჭარბა. ყოველი საქმე ისე მოაგვარა, როგორც ამას გერმანიის ხალხის ინტერესები მოითხოვდა იგი დიდის ყურადღებით მოეკიდა მუშებს, შექმნა ნაციონალი წარმოება და სხვა, რომელიც ომის შემდეგაც შეურყეველი იქნებაო, დაასრულა ვილჰელმმა.

მმართველობასა და სოციალ-დემოკრატებს გადასაჭრელათ რჩებათ ერთად-ერთი საგანი, თუ ვის ხელში უნდა იყოს მართვა-გამგეობის საქმე? თუ სოც. დემ. რადიკალებთან ერთად, შეთანხმება მოუხდათ მაშინ უკამათოდ მართვა-გამგეობის უფლებაც მათ ხელში გადავაო.

სამწუხაროთ, ჩვენ ვერ ვტყობილობთ, თუ რა უპასუხეს კაიზერს სოც. დემ. პარტ. ლიდერებმა.

ვერდენის ასპარეზზე ყოფნის დროს ვილჰელმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თურმე სოც. დემ. მეომრებს. ულოცავდა მათ ახალ „სარწმუნეობის მიღებას და ყველას საჩუქრებს ურიგებდა ვერდენის ბრძოლის პირზე ყოფნის დროს ვილჰელმს ძლიერ ეინტერესებოდა გაეგო თუ რამდენი გამოჩენილი სოც. დემ. დაიხოცა ვერდენთან ბრძოლაში.

უნტერ ოფიცრებთან საუბრის დროს ვილჰელმმა განაცხადა „გერმანია სოციალ-დემოკრატებმა გადაარჩინესო“.

დ. ნ.

ერობა ჩვენში

მეფის ნაცვლის სასახლის დიდებული სადარბაზო ოთახი, სადამის 8 საათზე უკვე სავსე იყო საეროობო თათბირზე მოწვეულ წარმომადგენლებით. [illegible] კავკასიის [illegible] კუთხიდან ჩამოსულ ცოტათ თუ ბევრად ცნობილ მოღვაწეს. ზგერ [illegible] კარებში, შინ და დაუდალავი [illegible]. მის გარშემო თავი მოუყრია რამდენიმე პირს და იგიც დინჯათ [illegible] ერობის მთავარ მუხლების თაობაზე თავის შეხედულობას უმტკიცებს. იქვე ცოტა მოშორებით ბ. ჟურული, ივანე ზურაბიშვილი, მიხეილ მაჩაბელი, შუა გულ ადგილას თავ. აფხაზი, გენ. ყაზბეგი, გოთუა, თუმანიშვილი, თავდგირიძე, კიტა აბაშიძე და მრავალი სხვანი. კარგა მოშორებით ბ. ხატისოვი, დოლუხანოვი, ტერ მიქელიანცი, არუთინოვი და სხვანი პრეზიდიუმის მაგიდასთან დარაზმულად სდგანან სხვა და სხვა დაწესებულების მოხელენი. ყველა მეფის ნაცვლის გამოსვლის მოლოდინშია. დრო იწურება, დანიშნულ ვადას გადასცდა. ყველას ყურადღება მიპყრობილია იმ კარებისაკენ, საიდანაც უნდა გამობრძანდეს დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

საუცხოვო სანახავია სადარბაზო ოთახი. მაღალი და ფართე ძველი ამპირის სტილით მოცული. მის კუთხეებს დიდი გემოვნებით ამშვენებენ კედელზედ გამოყვანილი კოლონები. აკუსტიკა დარბაზში ისეთი სიმტკიცით არის დაცული, რომ არც ერთი სიტყვა არ იკარგება.

ათის ნახევარი იქნებოდა, როდესაც მეფის ნაცვალი გამობრძანდა სადარბაზო ოთახში და შემდეგი სიტყვით მიესალმა საეროობო თათბირზე მოწვეულ პირებს.

მეფის ნაცვლის სიტყვა.

ბატონებო, უპირველესად ყოვლისა გულწრფელად მოგესალმებით.

შევუდექ რა მეფის ნაცვლის მოვალეობის აღსრულებას და გავეცან რა ადგილობრივ უმთავრეს პირობებს, იმ დასკვნამდე მივედ, რომ შემომქმედ ძალის ასამაღლებლად, რუსეთის ამ ერთ უმდიდრეს ნაწილში, საჭიროა განვითარდეს მის მცხოვრებთა თვითმოქმედება, რათა აღფრთოვანებულ შრომას შემოქმედება შეჰქონდეს ადგილობრივ ცხოვრების ყველა დარგში.

მეფის ნაცვლის სამმართველოში უკვე მზად არის აუარებელი მასალა კავკასიაში ერობის შემოსაღებად, მაგრამ სათანადო კანონპროექტის დაუყონებლივ დასამუშავებლად საჭიროდ დავინახე საშუალება მოგცეთ მკვიდრ მცხოვრებთ შეგროვილი მასალა შეავსოთ თქვენის გამოცდილებით და დაკვირვებით.

კავკასიის სხვა და სხვა კუთხის მრავალფეროვნება მეურნეობის პირობებისა და ეროვნების სხვადასხვაობა ჩემ მიერ განზრახულ საკითხს მეტად ართულებს. კანონპროექტი ერობის რეფორმისა უნდა იქმნეს ცხოვრებასთან შეგუებული და არა თეორეტიულად განსაზღვრული.

თქვენზეა, ბატონებო. დამოკიდებული ამ საკითხის გაადვილება. თქვენ. ადგილობრივთ მოღვაწენო, პრაქტიკის და ცხოვრების ხალხო, თქვენმა მსჯელობამ მოგვცეს მასალა, რაიც გააშუქებს ამ კუთხის მცხოვრებთა ნამდვილ მოთხოვნილებას.

თქვენ არ შეგიძლიანთ ეჭვი შეგებაროთ, რომ მე თანაუგრძნობ კავკასიაში ერობის შემოღებას ამის დამადასტურებელია თქვენი მოწვევა საკითხის გამოსარკვევად.

არ შეიძლება სხვა და სხვა შეხედულობა არსებობდეს დღევანდელ საკითხის შესახებ.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ უცბად ბევრის მიღება ხშირად არაფრის მიღებით გვირგვინდება, ამიტომ უფრო სამართლიანად მიმაჩნია ამ ჟამად ერობას საძირკველი ჩაუყაროთ შეძლებისდაგვარად იმ ფორმებში, როგორც ეს რუსეთის შიდა გუბერნიებში ჩამოყალიბდა

რასაკვირველია ადგილობრივი განსხვავების მიხედვით საჭირო იქნება რეფორმაში შესაფერი ცვლილება შევიტანოთ შემდეგ კი დრო თვით გვიჩვენებს რა უნდა დაემატოს ერობის დაწესებულებათ და მაშინ ნაკლებ შეცდომებით შეიძლება ნამდვილი საჭირო ცვლილება იქმნეს შეტანილი.

უმეტესად საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე, რომ განზრახულ ერობის რეფორმა ანგარიშს უწევდეს მცხოვრებთა ძალას გადასახადის შესახებ, წინააღმდეგ შეიძლება ისინი მდგომარეობაში ჩავაყენოთ მცხოვრებნი, რომ სამწუხარო შედეგი მივიღოთ.

[illegible] კერძოდ მე კავ[illegible] ბევრ რამეს მოველი. მთავრობის და ერობის წარმომადგენელთა შეთანხმებულ შრომით შეიძლება ახლო მომავალში აღსრულებულ იქმნას შემოქმედი მუშაობა საუცხოვო კავკასიის ცხოვრების განსავითარებლად იმ კავკასიისა, რომლის წიაღშიაც ჩამარხულია მრავალი სიმდიდრე, რომელიც ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ ჯერ ნაკლებად გამოგვიყენებია.

უნდა გვწამდეს, ბატონებო, რომ საეროობო მუშაობაში ჩაბმა ხელს შეუწყობს ცხოვრების მყუდრო კალაპოტში ჩაყენებას და დაიფარავს მხარეს აღელვებისა და უწესოებისაგან.

არის კიდევ ერთი მოსაზრება, რაზედაც თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო. სამწუხაროდ არც ერთს ჩვენთაგანს არ შეუძლიან უარჰყოს ეროვნული შუღლი, რომელმაც წარსულში ამ მხარეს დიდი ზარალი მიაყენა და ჩვენ რასაკვირველია, დიდად მოხარულნი ვიქნებით რომ ეს ერთა უთანხმოება აღმოიფხვრას.

ჩემის ღრმა რწმენით, ერთმანეთთან მუშაობა ერობაში საუკეთესო იარაღია ამ მიზნის მისაღწევად და ჯერ ნორჩი კავკასიის ერობა ნუ კი გაგვითიშავს მრავალ სხვადასხვა კავკასიის ერებს, არამედ მან შეგვაერთოს საერთო ინტერესის ნიადაგზე.

შეიძლება მიპასუხონ, რომ ჩემ მიერ დასახული მიზანი ცხოვრებაში ძნელი განსახორციელებელი იყოს. მაგრამ მე დარწმუნებით ვუპასუხებ: დიაღ, თუ კი კეთილი სურვილი არ გვექნება, მაგრამ თუ გულწრფელობას გამოვიჩენთ ეს მიზანი მიღწეულ იქნება განსაკუთრებით მაშინ, თუ ყველანი ირწმუნებენ, რომ ამ მხარის მთავრობის დამოკიდებულება კავკასიის ერებისადმი გამსჭვალულია ერთნაირის მიუკერძოებლობით და სამართლიანობით.

მაშ ასე, ბატონებო, თქვენ ვალად გაძლევთ თვალსაჩინო შრომა თქვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის

სასურველი იყო მეფიქრა, ჩვენ გამსჭვალულნი ვართ ერთნაირის რწმენით, რომ კავკასიისთვის საჭიროა ერობა, მაგრამ ერობა არა ერობისთვის, არამედ ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩემი გულითადი სურვილია თქვენი შრომის დასკვნით გამორკვეულ იქმნას განსხვავება თქვენსა და ამ კუთხის უმაღლეს მთავრობის შეხედულების შორის განზრახულ ერობის რეფორმის შესახებ

ამ საქმეში შეხედულებათა უდიდესი მახლობლობა თავდები იქნება შეთანხმებით მუშაობისა ამ კუთხის საკეთილდღეოდ.

უკეთუ თქვენ ცხოვრებისთვის გამოსაყენ მასალას მოგვცემთ ერობის მოსაგვარებლად, არა თუ მარტო მე ვიქნები მადლობელი, არამედ მთელი კუთხე გულწრფელად მოიგონებს თქვენს შრომას.

ღმერთსა ვსთხოვ შველას, თქვენი შრომის დაგვირგვინებას და მოვუწოდებ კრებას საქმეს შეუდგეს.

(შემდეგი იქნება).

მ ფრიდონოვის განცხადების გამო.

საკვირველი ხალხი სცხოვრობს ჩვენს დროში!..

როდესაც გოგირდ-შაბიამანის საკითხის გარშემო დაუსრულებელი აურ-ზაური იყო ატეხილი და თბილისში გაზ. „საქართველო“ ყოველმხრივ არკვევდა მ. ფრიდონოვის ბოროტმოქმედებას, ამ დროს ბ. ფრიდონოვი სრულიად სდუმდა; მხოლოდ დროგამოშვებით მის დასაცავად ხმას იღებდა, მისი მოურავი სვიმონ ხუნდაძე.

დღეს ბ-ნი ფრიდონოვი გამომდგარა გაზ. „ზაკ. რეჩი“-ს ფურცლებზე და სცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, რომ მას არავითარი ბოროტმოქმედება არ ჩაუდენია, არა თუ ბოროტმოქმედება, არამედ მის მიერ შემოტანილი 12400 ფ შაბიამანი სხვადასხვა დაწესებულებას გაუნაწილა და ქართულ პრესის ერთ ნაწილის რწმუნება იმის შესახებ, რომ ფრიდონოვმა შაბიამანი 110 ათასი ფუთი შემოიტანა და ყველა მოიმედე საზოგადოებას, გარდა ანანოვისა, უარი უთხრა მისი განცხადებით მართალი არ ყოფილა სასაცილოა სხვა რომ არა იყოს რა...

სად იყო ბ. ფრიდონოვი ამდენ ხანს? მაგრამ ფრიდონოვი მეტად ჭკუიანი და მოფიქრებული ადამიანი ყოფილა.

დღემდის სდუმდა იმიტომ, რომ თავის [illegible] ლიტონ განცხადებით თავს ვერ გაიმართლებდა და მეტ საბუთს მისცემდა, როგორც პრესას, ისე სხვადასხვა სოფლის წარმომადგენლებს გამოეაშკარავებიათ მისი საქციელი. მხოლოდ დღეს როდესაც მდგომარეობა შედარებით შეიცვალა და მეფენახეთა თუ სხვა საზოგადოების სახელზე გამოწერილი შაბიამანი დაიძრა და ხალხი დაწყნარდა, ფრიდონოვმაც დრო შეურჩია და მოყვა თავის მართლებას, დარწმუნებულიც არის, რომ დღეს მას წინანდებურის სისასტიკით არავინ მოეპყრობა.

ფრიდონოვს ამის იმედი მით უფრო აქვს, რომ სამწუხაროდ, მის ბოროტმოქმედებას ზოგიერთებიც ხელს აფარებენ.

Ser

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

26 აპრილი.

საფრანგეთის ასპარეზი

პარიზი! შამპანებში ბოლსიტუბთან ჩვენმა არტილერიამ მტრის ტრანშეებს და ბატარეებს დაუშინა. მდინარე მაასის მარცხენა ნაპირზე ბრძოლამ იკლო მაღლობ „304“ დასავლეთით მტერი შეგვაჩერეთ მაასის მარჯვენა ნაპირზე ვევრთან. დრო გამოშვებით ხდება საარტილერიო ბრძოლა 25 აპრილს „304“ და „287“ მაღლობების გაყოლებით გერმანელებმა მძაფრი იერიშები მოიტანეს მაგრამ ჩვენ ყველა იერიში უკუვაგდეთ. მტრის ჯარი პანტამუსონისკენ დაიძრა.

ბელგიის ასპარეზი.

პავრი. ბრძოლის პირის სხვადასხვა ადგილას სუსტი საარტილერიო ბრძოლაა. ტბა მოპაზის დასავლეთით ბელგიელების ავანგარდები მოვიდენ გერმანელების ჯარმა კოვარისკენ დაიხია. ტბა მოპაზი მდებარეობს 100 კილომეტრზე ბელგიის საზღვრიდან და ძლიერ უახლოვდება კივის ტბას და ვიქტორიას.

ლონდონი. ინგლისის მეფემ მიიღო რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებების წევრები და ხანგრძლივად საუბრობდა მათთან.

ინგლისის ასპარეზი.

ლონდონი. გუშინ საფრანგეთში დღემ წყნარად ჩაიარა მნიშვნელოვანი ბრძოლა არსად მომხდარა.

რუსეთი.

ფაქტები ღაღადებენ.

„რუსკოე სლოვოს“ სიტყვით უმაღლესი საქველმოქმედო ორგანიზაციის, ტატიანეს კომიტეტის თავჯდომარე, ნეიდგარტის მოთხოვნით ამ საზოგადოების ქონების მმართველი, კამერ-იუნკერი ბილბასოვი გაჩხრიკეს: ის ბევრ შეწირულებას თურმე თავისთვის ისაკუთრებდა, ამასთან საზოგადოების ქონებიდან 60,000 მ. გაუფლანგავს. ჯერჯერობით მას სასახლის კარის კაცის სახელწოდება ჩამოართვეს და მისი საქმე პროკურორს გადასცეს.

საქმის გამოკეთება.

პეტროგრადის გაზეთების გადმოცემით სუხომლინოვი იმ საკანში ზის, სადაც პორტარტურის ცნობილი დამცველი კომენდანტი, სტესელი იჯდა. თუ სუხომლინოვი დღემდე ყველასაგან პატივცემული და აღმატებული იყო, ახლა ყველა მისიანები მას გაურბიან და უარს ჰყოფენ. თავად-აზნაურთა საზოგადოებამ, რომელსაც ის ეკუთვნოდა, კითხვა აღძრა, რომ ის წოდებიდან გარიცხულ იქნას. ალბათ მალე ბევრი ყაზახთა სოფლებიც გამოაცხადებენ, რომ სუხომლინოვის „საპატიო მოხუცად“ არჩევა წესიერი და ნამდვილი არ იყო. . . . . . . ცოლმა მეორედ ინახულა სუხომლინოვი ციხეში. მან ითხოვა, რომ ის უკეთ მოწყობილ საკანში დაებინათ. თხოვნას ალბათ შეუსრულებენ. . . . სუხომლინოვი, როგორც გაზეთებს გადუციათ, თავს იმით მართლულობს, რომ აცხადებს: ყოფილი ჩემი კაბინეტის ზოგი წევრი მართლაც დამნაშავე არისო და მასთან სახელმწიფო სათათბიროს კომისიები მემტერებოდენ, განსაკუთრებით სახელმწიფოს თავდაცვის კომისია მოსვენებას არ მაძლევდაო. მისი ფიქრით, მისთვის ღალატის დაბრალება საშინელ [illegible] უნდა ჩაითვა- [illegible] თის სახელთან [illegible] ამტკიცებს, რომ [illegible] არ გაუგზავნია. [illegible] შაულობა, აცხადებს სუხომლინოვი, ისაა, რომ მე ახლანდელი ომის სიდიადე და მისი სივრცე წინდაწინვე ვერ დავინახე, მაგრამ ამაში ხომ სხვა სახელმწიფოების მინისტრებიც ჩემსავით დამნაშავენი არიან?“.

უცხოეთი.

ინგლისში სამხედრო ბეგარის შემოღების გამო.

ინგლისური გაზეთი „დეილი ხრონიკლი“ სწერს: „საფუძვლიანი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჯარის თავისუფალ მოხალისეთაგან შედგენა სწორეთ იმდენათ ნაყოფიერი იქნებოდა და იმდენ ჯარის კაცთ შეაგროვებდა, რამდენსაც სამხედრო ბეგარა შეაგროვებს მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ უკანასკნელ ომის თვის გამოცდილებამ აშკარათ გვიჩვენა, რომ ვოლონტერების მოკრეფა და სამხედრო ბეგარის შემოღება ერთ და იმავე დროს ერთად ვერ იწარმოებს. თუ კი იძულებით სამსახურს შემოიღებს ახლა ინგლისი, მაშინ იგი იძულებულია მთელი ომის განმავლობაში ჯარის კაცები მხოლოდ ამ სიტყვებით უნდა აგროვოს.

მეორე გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ იმ აზრს გამოსთქვამს, რომ სამხედრო ბეგარა ერს მძიმე ტვირთს უმატებს, მაგრამ ერი მას აიტანსო.

ამავე გაზეთის გადმოცემით მუშათა საპარლამენტო ფრაქციის უმრავლესობა სამხედრო ბეგარის შემოღების სასარგებლოთ მისცემს ხმას, რადგან უკვე ცნობილია, რომ მუშათა პარტიის წარმომადგენლები კაბინეტში მთავრობის აზრს ემხრობიან და სამხედრო ბეგარის შემოღების კანონს არ უარყოფენ.

სამხედრო ბეგარა და ინგლისის მუშათა-პოზიცია.

ლონდონიდან „რუსკიე ვედომოსტის“ კორესპონდენტი იუწყება: როგორც ეტყობა სამხედრო ბეგარის შემოღების კანონი ძალიან ჩქარა გავა. მხოლოდ მუშათა ოპოზიციაა, მაგრამ ახლა უკვე იციან, რომ მუშათა პარტიის თათბირზე უმრავლესობამ ის აზრი მიიღო, რომ მუშათა წარმომადგენლებს ნება მიეცეთ ამ საკითხში ისე იმოქმედონ პარლამენტში, როგორც ისინი უკეთესად [illegible] შედგენილი კაბინეტის [illegible] აქედან ფიქრობენ, რომ მის წინააღმდეგ არც მუშათა პარტია იქნებაო. იმავე ცნობით მუშათა ფრაქციის უმცირესობასაც საშუალება ეძლევა სამხედრო ბეგარის კანონის წინააღმდეგ მისცეს ხმა. პარტიის მარცხენა ფრთა ჯერჯერობით უმცირესობაშია მაგრამ, ვინ იცის, იქნებ მუშათა ფართე მასსისა და კლასიური ბრძოლის ზე გავლენით მალე უმრავლესობათ დიქცეს.

პროვინციის ცხოვრებ

სოფ. ზედა ილემი (შორაპნის მაზ

ეს სოფელი მდებარეობს რამდენიმე რსის დაშორებით დაბა ზესტაფონი კულტურული დაწესებულების მხრი სოფელი ჩამორჩენილია შედარებით სოფლებზე.

როგორც მრავალჯერ იყო აღნიშ არაფრის გაკეთება აქ არ შეიძლება

ამ ომის წყალობით როგორც ისე ამ სოფელსაც მოაკლდა მუშა ხ დარჩენ ოჯახები მოხუცებისა და ქა ამარა. სოფელი დიდ გაჭირვებას გა დის უსიმინდობის გამო; სიმშილი თა თან ძლიერდება. ამ ბოლო დროს დელ სიმინდიც არ იშოვება. ამას რამდენიმე ვაგონი სიმინდი მოიტანა ზესტაფონში ვაჭარმა სიხარულიძემ, მლის წილიც ხვდა ჩვენ სოფელსაც.

ვენახიც კარგი გამოსულია და კა პირიც უჩანს, მაგრამ სამწუხაროდ შა მანი არ იშოვება. თუ იშოვება სადმე ბიამანი ისიც შვიდ რვა თუმნად იყიდ ფუთი. სოფელს საშუალება არა აქვს ფუთ შაბიამანში შვიდ რვა თუმანი მის ამისათვის იგინი იძულებული ხდებიან ნახი მოუწამლელათ დასტოვონ, რაც ცილებლათ დიდს ზარალს მიაყენებს მ ამისათვის საჭიროა ყურადღების მიქ და დახმარება ამა სოფლისა, რომ ხრივ მთლად უნუგეშო მდგომარეობ არ ჩაცვივდენ, ისედაც საგრძნობლად პირობებში მყოფი სოფლის მცხოვრე უმრავლესობა. თი. თურქეშიძე

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლ**

მიღებულია

ძმ. ქორქოლდაძეების მაღაზიაში (მიხეილის ქუჩა საკუთ. სახლი.)

აბრეშუმის თესლი

ცნობილი ფრანგული ფირმის რუსეთში ფერანაგენტრანის რომელიც შე წმებულია და მოწონებულია თბილისის საბრეშუმო სადგურის მიერ და კოლოფ აქვს მთავრობის შემოწმებული თეთრი ბანდეროლი პარტიის მყიდველს დაეთმო ფას დაკლებით.

დააჩქარეთ თესლის შეძენა.

ავათმყოფნი გონორეით სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ **მორნისა.**

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტრიპერისა, ბუშტებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განცვიფრებულნი არიან, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „ბლენიოზოლი“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან განთავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულებს მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი [illegible] სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგს [illegible] რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმიო პრაქტიკულ ლაბორატორიის“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში**
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული განთავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით განთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომარჩინა, როდესაც სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს უშედეგო მოქმედებდნენ და ვერც სნეულებისაგან განმათავისუფლეს.

თქვენი უერთგულესი თი. ნ. კოლეგოვი.

9 (წერილი)

ქ. პეტროვსკი სირ-დარ